472
1940/2

სსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

უფასო

კრებული

№ 3—4 მარტი—აპრილი 1940 წ.

შინაარსი

1. ბრძანება № 1398—სსრკ-ის ხალხთა ისტორიის, მსოფლიო ისტორიის და სსრკ-ის კონსტიტუციის სწავლების გაუმჯობესების შესახებ 2
2. ბრძანება № 1400—მოზრდილთა ა/ს საშ. და საშ. სკოლების ქსელის მოწესრიგების შესახებ 3
3. ბრძანება № 1401—თბილისის ყრუ-მუნჯთა, უსინათლოთა და განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-საბავშვო სახლების რესპუბლიკურ ბიუჯეტზე გადაყვანის შესახებ 4
4. ბრძანება № 1402—თბილისის მოზრდილთა მე-15 საშ. სკოლის მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ 5
5. ბრძანება № 1147—გურჯაანის რაიონში პოლიტსაგანმანთლებლო მუშაობის მდგომარეობის შესახებ 6
6. ინსტრუქცია—სკოლისა და მასწავლებლის მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში თვალის ახვევის შემთხვევათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 9
7. აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის ჩატარების შესახებ 14
8. დროებითი დებულება პიონერთა და მოსწავლეთა სახლისა 16
9. დებულება საბავშვო ბაღთან არსებულ მშობელთა კომიტეტისა 18

ეროვნული ბიბლიოთეკა
ცნობარი ბიბლიოთეკის ეგზემპლარი

გ. ანსახკომი
თბილისი—1940

ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ბრძანება № 1398

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 10 აპრილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრკ-ის ხალხთა ისტორიის, მსოფლიო ისტორიის და სსრკ-ის კონსტიტუციის სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

საქ. სსრ-ის დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში სსრკ-ის ხალხთა ისტორიის, მსოფლიო ისტორიისა და სსრკ-ის კონსტიტუციის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. დაევალოს სახელგამს მიმდ. წლის 1/8-მდე უზრუნველჰყოს „ისტორიის მეთოდური სახელმძღვანელოს“ მე-3 და მე-4 წიგნისა და „ძველი ისტორიის“ გაკვეთილების მასალათა კრებულის (5—6 კლასებისათვის) 1-ლი წიგნის გამოცემა.

2. სახელგამის 1941 წლის საგამომცემლო გეგმაში შეტანილ იქნას და გამოიცეს: 1) ნიკიფოროვისა და სხვ. „ძველი ისტორიის ალბომი“, 2) სსრკ-ის კონსტიტუციის სწავლების თვალსაჩინოებისათვის საჭირო სათანადო სქემები და დიაგრამები და 3) ისტორიული სურათები: „პირეის ნავსადგური“, „სამეთუნეო სახელოსნო ათენში“, „სახალხო კრება ათენში“.

3. დაევალოს სახელგამის საავჭრო სამმართველოს (ამხ. ხარაზიანს) და თვალსაჩინო ხელსაწყოების თბილისის ბაზის დირექტორს ამხ. მ. თაბუკაშვილს: დამატებით მისცენ ისტორიული რუკების შეკვეთა და ამით დააჩქარონ საქართველოს სკოლების დროულად მომარაგება; გამოიწერონ ისტორიის თვალსაჩინო სწავლებისათვის საჭირო დიაპოზიტივების სერია, რომელსაც გამოსაცემად ამზადებს მოსკოვის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტისა და მოსკოვის საოლქო განათლ. განყოფილების თვალსაჩინო ხელსაწყოების სახელოსნო, თემაზე: „სსრკ-ის ხალხები უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში“.

4. ბავშვთა მხატვრული აღზრდის ცენტრალური კაბინეტის მიერ წარმოდგენილი ისტორიული სურათების კომპლექტი სარეცენზიოდ გადაეცეს დაწყებითი და საშუალო სკოლის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტს და, მოწონების შემთხვევაში, ალბომის სახით მისი გამოცემა დაევალოს სახელგამს 1941 წელს.

5. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს—ამხ. ა. მჭედლიძეს — მაღალკვალიფიციური ლექტორების საშუალებით უზრუნველჰყოს უშუალოდ პროგრამული თემების მიხედვით, ლექციების ჩატარება III-IV და V—X კლასების ისტორიის მასწავლებელთათვის საქართველოს რაიონებში (მიმდ. სასწ. წლის მეოთხე მეოთხედისა და მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში).

6. დაევალოს თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების პედაგოგიურ სისტემატურად მოაწყოს ლექციები V—X კლასების ისტორიის მასწავლებელთათვის. უშუალოდ პროგრამულ თემებზე: გააძლიეროს ამ მხრივ მასწავლებლებისადმი დახმარება განსაკუთრებით მიმდ. სასწ. წლის მეოთხე მეოთხედის განმავლობაში.

7. დაევალოს სკოლის დირექტორებს (გამგეებს), — უახლოეს დროში შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკები ისტორიული შინაარსის უკვე გამოცემული პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით (ისტორიული რუკებით, ალბომებით, სურათებით და სხვ.),

8. სკოლებში არსებულ ისტორიის წრეებში სისტემატურად მოეწყოს ისტორიულ პირთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა-შესწავლა, ალბომების შედგენა, ის-

ტორიული ადგილების ჩვენება მოსწავლეებისათვის და სხვა.

9. დაევალოს საშუალო სკოლის სამმართველოს სათანადო სპეციალისტების დახმარებით მოამზადოს ისტორიული შინაარსის დიაპოზიტივების მასალები ძირითად თემაზე: „ქართველი ხალხი უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში“; ამ მიზნით, მოსამზადებელი მუშაობისათვის ასიგნებულ იქნას 5000 მან.

საფუძველი: განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 26 მარტის დადგენილება.

საქ. სსრ განათლ. სახ. კომისარი

გ. კიკნაძე

ბრძანება № 1400

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 10 აპრილს.

მოზრდილთა არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ქსელის მოწესრიგების შესახებ.

გამოკვლევით დადასტურებულია, რომ ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოწესრიგებული მოზრდილთა არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ქსელი. რიგ სკოლებში—თბილისის 1, 2, 43, 9, 11, არუხლინის (ლიუქსემბურგის რაიონი) და სხვაგან არსებობს მცირე კონტიგენტიანი პარალელური კლასები.

მაგ.: არუხლინის სკოლაში მე-5 პირველ და მე-5 მეორე კლასებში სიით ირიცხება 45 მოსწავლე, ხოლო მეცადინეობაზე თვითეულ კლასში ცხადდება 5—6 მოსწავლე. ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის 1-ლი, მე-4, 9, 11 და სხვა სკოლებში.

წარმოდგენილ მასალიდან ირკვევა, რომ კლასების დაკომპლექტების დროს განათლების განყ. გამგეები და სკოლის დირექტორები არ იცავენ განსახკომის დირექტივებს იმის შესახებ, რომ მოზრდილთა სკოლებში უნდა სწავლობდნენ—მუშები, კოლმეურნეები და მოსამსახურეები წარმოებიდან მოუწყვეტლად.

თბილისის მოზრდილთა ა სრ. საშუალო და საშუალო სკოლებში ჩატარებული გამოკვლევებით დადასტურდა აგრეთვე, რომ მოზრდილთა სკოლებში მოსწავლეთა 25% ბავშვთა სკოლის კონტიგენტია. შემჩნეულია აგრეთვე, რომ მასობრივი სკოლის ზოგიერთი დირექტორი თავისი სკოლის აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს განგ. განყოფილების დახმარებით რიცხავენ მოზრდილთა სკოლებში—მაგ.: თბილისის მე-9 საშ. სკოლის დირექტორმა (ამხ. დოჭვირი) პედსაბჭოს სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „მოსწავლე სხირტლაძე, როგორც უდისციპლინო, რომელიც აწარმოებს წერილების მიწერ-მოწერას ,ხელს უშლის გაკვეთილების ჩატარებას, არანორმალური დამოკიდებულება აქვს ამხანაგებთან და სხვა, გადაყვანილი იქნეს მოზრდილთა საშუალო სკოლაში“ (ოქმი № 7. 28/12 — 1939 წ.), დადასტურდა ის ფაქტიც, რომ მასობრივი სკოლიდან ხულიგნური მოქმედებისათვის გარიცხული მოსწავლე თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების გამგის მოადგილის განკარგულებით ჩაირიცხა მოზრდილთა საშუალო სკოლაში. აღნიშნულიდან გამომდინარე ვბრძანებ:

1. წინადადება მიეცეს რაიონების განათლების განყოფილების გამგეებს გადასინჯონ მოზრდილთა არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ქსელი და 15 ივნისა-

მდე განსახკომში დასამტკიცებლად წარმოადგინონ იმ პარალელური კლასების გაერთიანების პროექტი, რომლებშიაც მოსწავლეთა დასწრება (თვითეულ კლასში) არ აღემატება 20-ს (გაერთიანება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა საკლასო ოთახები); ხოლო თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების მიერ იგივე პროექტი წარმოდგენილი იქნას 15 აპრილამდე, იმ ვარაუდით, რომ მცირე კონტიგენტის კლასების გაერთიანება, როგორც რაიონებში, ისე თბილისში ჩატარდეს მომავალ სასწავლო წლის დასაწყისიდან.

ქ. თბილისის მოზრდილთა აწს საშ. და საშ. სკოლების პარალელური კლასების გაერთიანებას უხელმძღვანელოს მოზრდილთა განათლების სამმართველოს ინსპექტორებმა, ხოლო რაიონებში იმავე მუშაობის ჩატარებაში მონაწილეობა მიიღონ რაიონში მივლინებულმა განსახკომის ინსპექტორებმა.

2. კატეგორიულად აიკრძალოს მოზრდილთა საშუალო სკოლაში იმ მოსწავლეთა ჩარიცხვა, რომლებიც გარიცხული იქნენ მასობრივი სკოლიდან აკადემიური ჩამორჩენილობის ან ხულიგნური მოქმედებისათვის.

3. თბილისის მე-9 საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. დოკვირს მიეთითოს იმის შესახებ, რომ მან არ იზრუნა მისი სკოლის მოსწავლის, სხირტლაძის გამოსწორებაზე და უდისციპლინო მოსწავლის თავიდან მოწორების მიზნით, პედსაბჭოს გამოატანინა დადგენილება ამავე მოსწავლის მოზრდილთა სკოლაში გადაყვანის შესახებ.

4. განსახკომის საგეგმო-საფინანსო სამმართველომ მოზრდილთა სკოლების ქსელისა და კონტიგენტის დაფინანსების დროს არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას მცირერიცხოვანი პარალელური კლასების დაფინანსება.

5. განათლების განყ-ების გამგეებმა და მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორებმა მტკიცედ იხელმძღვანელონ კლასების დაკომპლექტების დროს განსახკომის ინსტრუქციით.

ამავე დროს სათანადო მუშაობა გაიშალოს კოლმეურნეობებში, საწარმოებში და დაწესებულებებში მოსწავლეთა სკოლებში დამაგრების მიზნით და გადამწყვეტი ზომები იქნას მიღებული მოსწავლეთა განთესვის წინააღმდეგ.

6. განსახკომის მოზრდილთა განათლების სამმართველომ დაწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე და მძსი ცალკეული მუხლების შეუსრულებლობის შემთხვევაში მომახსენოს მე სათანადო ზომების მისაღებად.

საფუძველი: განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 26 მარტის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

გ. კიკნაძე

ბრძანება № 1401

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 10 აპრილს.

თბილისის ყრუ-მუნჯთა, უსინათლოთა და განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-საბავშვო სახლების რესპუბლიკური ბიუჯეტზე გადაყვანის შესახებ.

თბილისის ყრუ-მუნჯთა, უსინათლოთა და განსაკუთრებული რეჟიმის სკოლა-საბავშვო სახლები, როგორც რესპუბლიკური მნიშვნელობის დაწესებულებები, რომლებიც მომსახურებას უწევენ როგორც ქ. თბილისის, ისე ავტონომიურ რესპუბლიკებს და ყველა

რაიონებს, დაისვას საკითხი. საქართველოს სახალხო კომისარიატის საბჭოს წინაშე ამ სკოლა-საბავშვო სახლების ადგილობრივი ბიუჯეტიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტზე გადაცემის შესახებ.

დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების სამმართველოსთან ერთად სამი დღის ვადაში შეადგინოს მოხსენებითი ბარათი საქ. სახკომსაბჭოს სახელზე აღნიშნული სკოლა-საბავშვო სახლების ადგილობრივი ბიუჯეტიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტზე გადაცემის საათანადო ნებართვის მიცემის შესახებ.

საფუძველი: განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 26 მარტის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

ბ. კიკნაძე

ბრძანება № 1402

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 10 აპრილს.

ქ. თბილისის მოზრდილთა მე-15 საშ. სკოლის მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

ქ. თბილისის მოზრდილთა მე-15 საშ. სკოლის (დირექტ. ა. ორმოცაძე) მუშაობას, რომელიც შესწავლილი იქნა მასწ. ბ. კვარაცხელიას ბანცხადების საფუძველზე, უკანასკნელ ხანებში გარკვეული წარმატება ახასიათებს, რაც მტკიცე ცხრილის შედგენასა, აკადემიური მოსწრების გაზრდასა და გეგმიანი მუშაობის გაშლაში გამოიხატება, მაგრამ ხსენებულ სკოლას საორგანიზაციო და სასწავლო ალმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებანი გააჩნია.

მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში სკოლა მუშაობდა მტკიცე ცხრილის გარეშე. მასწავლებელთა ხშირი მონაცვლეობა, არაძირითადი მასწავლებლების პრეტენზიები და ძირითადი მასწავლებლების გადატვირთვა ხელს უშლიდა სტაბილური ცხრილის შედგენას. სკოლის დირექცია ვერ ჰქმნიდა სკოლაში მუშაობის ჯანსაღ და ნორმალურ პირობებს, ამის შედეგად სკოლაში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ გაუგებრობას, გაკვეთილების სახელდახელო გადაჯგუფებას, მასწავლებელთა მოულოდნელ გამოძახებას და ხანდახან გაკვეთილებზე დაგვიანებით შესვლას.

დადასტურებულია აგრეთვე მოსწავლეთა ფიქტიური შეფასების შემთხვევები ხაზვასა და ისტორიაში: პირველი (ხაზვა) შეფასებული იქნა მისი ფაქტიური სწავლების გარეშე, ხოლო მეორე (ისტორია) ხანმოკლე სწავლების შემდეგ შეფასებულია არაწესიერად.

სასწავლო წლის პირველ ნახევარში სკოლაში ადგილი ჰქონდა ერთი მასწავლებლის მიერ ერთდროულად ორი გაკვეთილის გადაცემის შემთხვევას და ეს ერთი გაკვეთილი მასწავლებელს ეწერებოდა, როგორც ზედმეტად გადაცემული საათი. ასე, მაგალითად: მასწავლებელ მ.ჭედლოვს ნოემბერსა და დეკემბერში ზედმეტ გაკვეთილებად საალრიცხვო დავთარში ჩაწერილი აქვს 49 საათი. ნოემბრის ხელფასის გამოწერისას სასწ. ნაწილის გამგეს ამხ. გუკასოვს ოფიციალური ცნობა მიუცია სკოლის ბუხჰალტერიისათვის, რომ მასწავლებელ მ.ჭედლოვს ხელფასი გამოსწეროდა 37 ზედმეტი საათის მიხედვით ნოემბრის

თვის განმავლობაში მაშინ, როდესაც გაკვეთილებით დატვირთვის შესაბამისად მჭედლოვს ნოემბერში ჰქონდა მხოლოდ 20 თავისუფალი საათი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვბრძანებ:

1. თბილისის მოზრდილთა მე-15 საშ. სკოლის დირექტორს ამხ. ორმოცაძეს, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო სასწავლო წლის პირველ ნახევარში სასკოლო-საორგანიზაციო და სასწავლო საალმზრდელო მუშაობის მოწესრიგება, რის შედეგად სკოლაში ადგილი ჰქონდა მტკიცე ცხრილის გარეშე მუშაობას, გაკვეთილების შეუსაბამო გადაჯგუფებას, მოსწავლეთა უმართებულო შეფასებას. გაკვეთილებზე მოსწავლეთა ხშირ დაკლება-დაგვიანებას და სხვა,—გამოეცხადოს საყვედური.

2. მიეთითოს იმავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. გუკასოვს, მასწავლებელთა მიერ გადაცემული გაკვეთილების არასწორი აღრიცხვისა, ფაქტიურად ერთი გაკვეთილის ორ აკადემიურ საათად ჩათვლისა და მოსწავლეთა ცოდნის ფიქტიური შეფასების გამო.

3. მიეთითოს მასწავლებელ ჯ. მჭედლოვს, საბჭოთა მასწავლებლისათვის შეუფერებელი ქცევის გამო, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი ხელს უწყობდა სკოლას ფინანსიური დისციპლინის დარღვევაში.

4. წინადადება მიეცეს სკოლის დირექციას სასწრაფოდ მოაწესრიგოს სასკოლო ორგანიზაციული და სასწავლო აღმზრდელობითი საკითხები: შეიმუშაოს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების საწინააღმდეგო ღონისძიებანი, დაამუშაოს და თვალსაჩინოდ გამოაკრას სკოლის შინაგანაწესი, უზრუნველჰყოს მოსწავლეთა ცოდნის ყოველდღიური შეფასება და მოაგვაროს საკლასო ჟურნალების გამოყენების საქმე.

საფუძველი: განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 26 მარტის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი
გ. კიკნაძე

ბრძანება № 1147

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლ. 23 მარტს.

გურჯაანის რაიონში პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა გურჯაანის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მდგომარეობისა და მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ: გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად საკლუბო დაწესებულებათა მუშაობა ჩაშლილია.

ზოგი საკლუბო დაწესებულება ვითავსებულია სრულებით შეუფერებელ ბინებში (კაჭრეთი, კალაური, ვეჯინი და სხვ.), ზოგი საკლუბო დაწესებულების ბინა შეუკეთებელია (გურჯაანი, ჯიმითი), ადგილი აქვს კადრების ხშირ ცვლას (ბაკურციხეში 1939 წელს გამოიცვალა 4 გამგე, ასევე მოხდა ძველ გურჯაანშიაც), სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეები განათლების განყოფილების დაუკითხავად, თვითნებურად ხსნიან და ნიშნავენ საკლუბო დაწესებულებათა გამგეებს (მელაანი, ვეჯინი), მთელ რიგ სასოფლო საბჭოში საკლუბო დაწესებულებები 3-4 თვის განმავლობაში დაკეტილი იყო მუშაკე-

ბის უყოლობის გამო (ჩალაუბანი, ბაკურ-ციხე, ბოგდანოვკა, დუზაგრამა, ვეჯინი, მელაანი), იმ საკლუბო დაწესებულებებშიაც კი, სადაც არის მუშაობის სათანადო პირობები (ყანდაურა, შაშიანი, შრომა და სხვ.), მუშაობა არადამაკმაყოფილებელია, არ სწარმოებს სამხედრო-თავდაცვითი მუშაობა, სუსტად არის დაყენებული ყოველდღიური პოლიტიკური ინფორმაცია, საცნობო-საკონსულტაციო მუშაობა, არ ტარდება ლექციები, მოხსენებები და საუბრები, იშვიათად სწარმოებს კედლისა და საველე გაზეთების გამოშვება, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საწრეო მუშაობა, არ სწარმოებს ანტირელიგიური და აგრო-ზოოტექპროპაგანდა, სუსტია მუშაობა მხატვრული თვითმოქმედების დარგშიც.

რიგ საკლუბო დაწესებულებაში (ვეჯინი, გურჯაანი) არ არის შექმნილი საკლუბო საბჭოები, იქ კი, სადაც საბჭოები ჩამოყალიბებულია, მათი მუშაობა უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. არ ექცევა აგრეთვე ყურადღება საკლუბო მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს (1940 წლის იანვარ-თებერვალში საკლუბო მუშაკთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულთათვის კონსულტაცია სრულებით არ ჩატარებულა).

ზოგიერთი სასოფლო საბჭო (ჩალაუბანი, ბაკურციხე და სხვა) თავის დროზე არ აძლევს საკლუბო დაწესებულებებს ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახსრებს, რის შედეგად საკლუბო დაწესებულებებში არ მოიპოვება სამეურნეო ინვენტარი და კულტინვენტარი, ბიბლიოთეკები მეტად ღარიბია პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით.

ზოგ შემთხვევაში საკლუბო დაწესებულებათა გამგის თანამდებობა დამატებითი შემოსავლის წყაროდ არის გადაქცეული (ზემო-გურჯაანის სასოფლო საბჭოს მდივანს ჩუგაშვილს ხელფასის გადიდების მიზნით კლუბის გამგეობა აქვს შეთავსებული, კლუბში კი ის არაფერს აკეთებს და კლუბი ფაქტიურად გაუქმებულია).

თვითონ განათლების განყოფილების მხრივაც ადგილი აქვს საკლუბო მუშაობის შეუფასებლობას. განყოფილება საკლუბო დაწესებულებებს არ უწევს მეთოდურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას. განსახკომის ბრძანებები, ინსტრუქციები, მეთოდწერილები საკლუბო დაწესებულებებამდე არ არის დაყვანილი, საკლუბო მუშაობის საქმეები არევ-დარეული და მოუწესრიგებელია, არ ექცევა ყურადღება კადრების შერჩევისა და ადგილზე მათს დამაგრების საქმეს, სრული უყურადღებობის შედეგად მოუწესრიგებელია რაიონული სალექციო-საექსკურსიო ბიუროს მუშაობა.

გამომდინარე აქედან, **ვბრძანებ**:

1. წინადადება მიეცეს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ა. ფეიქრიშვილს:

ა) დაუყოვნებლივ მიიღოს გადამჭრელი ზომები საკლუბო დაწესებულებათა კეთილმოწყობისა, სათანადო ბინებით უზრუნველყოფისა და მათთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების თავის დროზე გაცემისათვის;

ბ) გადასინჯოს საკლუბო დაწესებულებათა ხელმძღვანელი კადრები, შეარჩიოს შესაფერისი მუშაკები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, რისთვისაც უზრუნველჰყოს დაუსწრებელ სწავლებაში ყველა საკლუბო მუშაკის ჩაბმა, მათი სისტემატური დასწრება კონსულტაციებზე, კონსულტაციების ხარისხის გაუმჯობესება, დაუსწრებელოა მიერ მიღებული თეორიული ცოდნის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობასთან დაკავშირება;

გ) საკლუბო დაწესებულებებზე ხელმძღვანელობისა და სისტემატური დახმარების გაძლიერებით მიაღწიოს საკლუბო დაწესებულებებში ყოველდღიური პოლიტიკური ინფორმაციის, საცნობო-საკონსულტაციო მუშაობის, ანტირელიგიური პროპაგანდის გაშლას, ლექციების, საუბრებისა და მოხსენებების სისტემატურად ჩატარებას, კედლისა და საველე გაზეთების რეგულარულად გამოცემას, სამხედრო თავდაცვითი, ფიზკულტურული, ლიტერატურული, აგროზოო-

ტექპროპაგანდის, მხატვრული თვითმოქმედებისა და სხვა წრეების მუშაობის გაუმჯობესებას, გეგმიანი მუშაობის დანერგვას და გეგმების შესრულების შემოწმების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას;

დ) უზრუნველჰყოს განათლების სახალხო კომისარიატის დირექტივების თითოეულ საკლუბო დაწესებულებამდე დაყვანა და მათი შესრულების შემოწმება.

2. განათლების განყოფილებამ პერიოდულად ჩაატაროს საკლუბო მუშაკთა რაიონული მეთოდთათბირები, სადაც განხილული იქნას, როგორც საკლუბო დაწესებულებათა შემოწმების შედეგები, ისე ადგილებიდან წარმოდგენილი მოხსენებები და დასახულ იქნას ღონისძიებანი საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

3. განათლების განყოფილებამ ერთი თვის ვადაში უზრუნველჰყოს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ქონების ინვენტარიზაცია და საკლუბო ბიბლიოთეკების შესაფერისი ლიტერატურით დაკომპლექტება.

4. მოიხსნას ზემოგურჯაანის სასოფლო კლუბის გამგე ჩუგაშვილი სრული უმოქმედობისა და მუშაობის ჩაშლის გამო.

განათლების განყოფილებამ არ დაუშვას საკლუბო დაწესებულებების გამგის თანამდებობის შეთავსება სასოფლო საბჭოების მდივნებისათვის, აგრეთვე საკლუბო მუშაკთა მოხსნა და დანიშვნა განათლების განყოფილების გარეშე.

5. განათლების განყოფილებამ უზრუნველჰყოს სალექციო-საექსკურსიო ბიუროს მუშაობის გარდაქმნა, რისთვისაც შემოიკრიბოს ბიუროს გარშემო ლექტორთა აქტივი, გაშალოს ლექტორთა შორის მუშაობა, გააძლიეროს კოლმეურნეობებში ლექციების ჩატარება რაიონის ცენტრიდან მივლინებულ ლექტორთა ძალებით, მიიღოს ზომები ლექციების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ძრაწესრიგოს ჩატარებული ლექციების აღრიცხვა და ლექტორებთან ანგარიშსწორების საქმე.

6. განათლების განყოფილებამ უზრუნველჰყოს სკოლის მუშაკთა აქტიურად ჩაბმა საკლუბო დაწესებულებათა მუშაობაში და დროგამოშვებით მოისმინოს სკოლების დირექტორთა ანგარიშები იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარებიან და მონაწილეობენ ისინი თავიანთი სოფლის საკლუბო დაწესებულების მუშაობაში.

7. გამოეცხადოს საყვედური გაფრთხილებით გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ფეიქრიშვილს იმის გამო, რომ ის საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევს რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს. მოიხსნას სამუშაოდან პოლიტგანინსპექტორი ამხ. ყალაბეგიშვილი იმის გამო, რომ ის იჩენდა შეუფასებლობას და დაუდევრობას საკლუბო დაწესებულებათა მიმართ.

განათლების განყოფილებამ შეარჩიოს და წარმოადგინოს კანდიდატურა პოლიტგანინსპექტორის თანამდებობაზე დასანიშნავად.

8. საკლუბო სამმართველომ ა/წ 1 ივნისამდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება და შემოწმების შედეგები წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად.

საფუძველი: განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 13 მარტის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახალხო

კომისარი ბ. კიკნაძე

აჭარისა და აფხაზეთის სსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქის და ყველა სარაიონო (საქალაქო) განათლების განყოფილებათა გამგეებს და სკოლის დირექტორებს (გამგეებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლისა და მასწავლებლის მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში თვალის ახვევის შემთხვევათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

სკოლის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ სახკომსაბჭოს ისტორიულ დადგენილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგად საგრძნობლად გარდაიქმნა სკოლების მუშაობა, გაიშალა ბრძოლა სკოლის „ძირითადი ნაკლის" აღმოფხვრისათვის,—მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცედ დაუფლებისათვის.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ათასობით დაწინაურდნენ მოზარდი თაობის კომუნისტურად სწავლა-აღზრდისათვის თავდადებული მასწავლებლები, რომელთა დაუღალავი და პატიოსანი შრომა სათანადოდ დააფასა საბჭოთა ხელისუფლებამ და საქ. სსრ სოფლის 126 მასწავლებელი სსრკ ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა, ხოლო 200-დე მასწავლებელს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭა.

1939 წელში, აზერბაიჯანის და საქართველოს მოძმე რესპუბლიკების განსახკომებს შორის მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში მასწავლებელთა ფართო მასების ჩაბმამ გამოიწვია უდიდესი ენტუზიაზმი, რამაც სათანადო გამოხატულება ჰპოვა სასწავლო მუშაობაში. მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საქ. სს რესპუბლიკის მრავალმა დაწყებითმა, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლამ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების, მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების, მეორეწლიანობისა და განთესვის მინიმუმამდე დაყვანის საქმეში, ეს წარმატებები იმის შედეგად იქნა მოპოვებული, რომ ჩვენი სკოლების მოწინავე მასწავლებლობა დაუღალავად მუშაობს თავის იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისათვის, აუმჯობესებს პედაგოგიურ დახელოვნებას და იარაღდება სწავლების საუკეთესო ხერხებით და მეთოდებით, ყოველდღიურად ემზადება თითოეული გაკვეთილის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის და უაღრესად დიდ პასუხისმგებლობით ეკიდება მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შეფასების სწორი ორგანიზების საქმეს.

მაგრამ საქართველოს სს რესპუბლიკის **მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ ჩამორჩება** ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლება, სუსტად არის გაშლილი საალმზრდელო მუშაობა და ამის შედეგად მოსწავლეთა აკადემიური მომზადების დონე დაბალია: ჩამორჩენილია აგრეთვე წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა, მოსწავლენი სათანადოდ არ არიან დაუფლებული ლიტერატურულ ძეგლებს, ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს, ფიზიკურ, ეკონომიურ და ისტორიულ რუკას, სუსტად არის დაყენებული ვარჯიში მათემატიკურ ამოცანებსა და მაგალითებზე, ხშირად მოსწავლეობას არ შესწევს სკოლაში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი და სხვ.

სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში არსებული ეს ნაკლოვანებანი იმის შესახებ მიუთითებენ, რომ სკოლები მთელ რიგ შემთხვევაში მოკლებული არიან განათლების განყოფილებების, სკოლების დირექტორების (გამგეების), სასწავლო ნაწილის გამგეების და პედაგოგიური კაბინეტების კონკრეტულ დახმარებასა და ხელმძღვანელობას, **რომ სუსტად არის დაყენებული მასწავლებლის** მუშაობის ყოველდღიური შემოწმება, თავის მხრივ ზოგიერთი მასწავლებელი

გულგრილად ეკიდება საკუთარი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლების საქმეს, სისტემატურად არ კითხულობს პედაგოგიურ-მეთოდური ხასიათის ლიტერატურას, საფუძვლიანად არ ემზადება თითოეული გაკვეთილის მაღალი ნაყოფიერებით ჩატარებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევს თვალსაჩინოების საქმეს, გაურბის მოსწავლეთა ინდივიდუალურად შესწავლას ყოველდღიური მუშაობის პროცესში.

ამასთან ერთად განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების საქმეში არსებული ჩამორჩენები, ზევით ჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად იმითაც არის გამოწვეული, რომ აკადემიური წარმატების აღრიცხვის საქმეში, მთელ რიგ სკოლებში ადგილი აქვს უხეშ დამახინჯებებს. ზოგიერთი განათლების განყოფილება, სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე დღემდე არ აწარმოებს სისტემატურ მუშაობას მასწავლებელთა შორის მოწინავეთა გამოცდილების დაუფლებასა და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, არ იბრძვიან საუკეთესო გაკვეთილისათვის, არ შლიან მუშაობას ჩამორჩენილების დასახმარებლად და მოსწავლეთა მეორეწლიანობის ლიკვიდაციისათვის, შესაფერ ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა საშინაო დავალებისა და კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციას, არ არის დაწესებული სისტემატური კონტროლი მოსწავლეების დამოუკიდებელ მუშაობაზე, გაუშლელია მუშაობა მშობელთა შორის, მათი სასკოლო მუშაობაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, რომ სკოლაზე და მასწავლებელზე ხელმძღვანელობის საქმე თვალისახვევით „პროცენტომანიით" არის შეცვლილი, მოსწავლეებს ძალზე შემცირებულ მოთხოვნილებას უყენებენ, ხელოვნურად ზრდიან აკადემიური წარმატების პროცენტებს, და უქმნიან მოსწავლეებს საბაბს იმსჯელონ: „რისთვის ვიტეხო თავი... სულერთია, მასწავლებელი მაინც „საშუალოს" გამოიყვანს, რადგანაც ცუდი ნიშნებისათვის თითონ მას მოსთხოვენ პასუხს"... განათლების სახალხო კომისარიატის ხელთ არის მრავალი ფაქტი, რომ ზოგჯერ განათლების განყოფ. უხეირო ხელმძღვანელის წყალობით დამუშავების ობიექტად ხდებიან ისეთი მასწავლებლები, რომელნიც კეთილსინდისიერად ეკიდებიან მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ხელოვნურად არ ზრდიან მოსწავლეთა წარმატებას და მთელი არსებით ებრძვიან ყოველგვარ თვალისახვევას და ლიბერალიზმს ბავშვთა წარმატების შეფასების საქმეში. ასეთ მასწავლებლებს აიძულებდნენ „აეწიათ" შეფასებანი, რის შედეგად რიგ შემთხვევაში კლასიდან კლასში გადადიოდნენ არასათანადოდ მომზადებული მოსწავლეები .იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მაღალი პროცენტული მაჩვენებლების წარდგენის მიზნით, ადგილი ჰქონდა აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა „ავადმყოფებად" გამოცხადებას და ე. წ. „შეუფასებელთა" სიაში შეტანას. არც ისე იშვიათად იყო აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როცა სკოლის ცუდი ხელმძღვანელები აკადემიურად სუსტ მოწაფეებს „ურჩევდნენ", ვითომ და მათი გამოსწორების მიზნით, ფაქტიურად კი თავიდან მოშორებისათვის სხვა სკოლაში გადასვლას, რომ ამით ხელოვნურად გაედიდებიათ აბსოლუტური წარმატების მაჩვენებლები. ამასთანავე ხშირად, მაღალი პროცენტის შენარჩუნებისათვის სკოლიდან მოსწავლის გარიცხვასაც კი არ ერიდებოდნენ. ყველაფერი ეს სკოლასა და მოწინავე ახალგაზრდობას უქმნიდა მეტად არანორმალურ ატმოსფეროს და სიძნელეებს ყოველდღიურ მუშაობაში.

პროცენტებზე ასეთი არაჯანსაღი გამოდევნება, არა თუ უქმნიდა მასწავლებელს სტიმულს დაუფლებოდა მოწინავეთა გამოცდილებას, და მით გაემდიდრებია სწავლა-აღზრდის პრაქტიკა, აემაღლებია კვალიფიკაცია, ნამდვილი ცოდნის მისაღწევად გაეშალა შემოქმედებითი ძალა და ენერგია. არამედ, პირიქით, უბიძგებდა მას იქითკენ, რომ შეემცირებია მოთხოვნილება მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში და უგუ-

ლებელეყო ნამდვილი წარმატების მისაღწევად საჭირო პედაგოგიურ-მეთოდური ღონისძიებათა გატარება. ასეთ ატმოსფეროში მასწავლებელთა ნაწილში ფეხი მოიკიდა სწავლებისადმი ზერელე, უზრუნველი დამოკიდებულების განწყობილებამ, რამაც თავის მხრით გამოხატულება ჰპოვა მოსწავლეთა დაბალ აკადემიურ წარმატებაში.

გარდა ამისა მთელ რიგ სკოლებში ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა წარმატების ეგრედ წოდებულ „შედარებითი შეფასებას", მასწავლებლები უგულებელჰყოფდნენ რა პროგრამებით გათვალისწინებული მასალის მოცულობით მოსწავლის ცოდნის შემოწმებას, დაბალი აკადემიური წარმატების მქონე მოსწავლეებთან შედარებით აფასებდნენ დანარჩენ მოსწავლეთა ცოდნას.

„პროცენტომანიით" დაავადებულ განათლების ორგანოებისა და სკოლის მუშაკებს ვერ შეუგნიათ, რომ პროცენტებზე გამოდევნება, წარმატებათა პროცენტის ხელოვნური აწევა, საქმის ნამდვილ ვითარებას არ შეეფერება,—ეს თვალთმაქცობაა, სახელმწიფოს მოტყუება და დანაშაულებრივი ქმედებაა.

ბრძოლა მოსწავლეთა მაღალი და მტკიცე ცოდნისათვის, „მეცნიერებათა საფუძვლების" ღრმად დაუფლებისათვის იყო და რჩება საბჭოთა სკოლის მთავარ ამოცანად. „პროცენტომანიის" ლიკვიდაცია კი გულისხმობს სკოლისა და მასწავლებელთა მუშაობაზე არსებითი ხელმძღვანელობის გაძლიერებას, მათი წარმატების შესახებ მსჯელობას არა მხოლოდ ციფრობრივი მაჩვენებლებით, არამედ მუშაობის ხარისხის მიხედვით. „პროცენტომანიის" ლიკვიდაცია ნიშნავს მოსწავლეთა ცოდნის ზუსტად, ობიექტურად შეფასებას, იმის განსახორციელებლად, რომ „ცოდნის ერთი და იგივე დონე ერთნაირად ფასდებოდეს ყველა სკოლაში" (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტის 1935 წლის 3 სექტემბრის დადგენილებიდან).

საქ. სსრ განსახკომი აფრთხილებს სკოლის დირექტორებს (გამგეებს) და სასწავლო ნაწილის გამგეებს, რომ მათ მასწავლებლებთან ერთად ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის მაღალი ხარისხის მიღწევისა და მისი სწორად შეფასების საქმეში. ყოველი სკოლის დირექტორი (გამგე) და სასწავლო ნაწილის გამგე ვალდებული არიან გაკვეთილებზე სისტემატური დასწრების გზით შეისწავლონ მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობა, გაუწიონ მასწავლებლებს საჭირო დახმარება შემჩნეულ დეფექტების აღმოსაფხვრელად და მათი მუშაობა წარმართონ იქითკენ, რომ უზრუნველყონ თითოეულ კლასში მოსწავლეთა ჩამორჩენილობის სრული ლიკვიდაცია. მოსწავლეთა მუშაობის შეფასება მოახდინონ სასწავლო წლის ყოველ მეოთხედში სკოლაში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ღრმა ანალიზის საფუძველზე და წლის ბოლოს შეადგინონ თითოეული მოსწავლის ამომწურავი დახასიათება.

საქ. სსრ განსახკომი იძლევა დავალებას:

1. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) და სასწავლო ნაწილის გამგეებმა სისტემატურად განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და პედთათბირებზე გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგები მათი ნაკლისა და მიღწევების ფართო ანალიზით და მოახდინონ სწავლა-აღზრდის საქმეში საუკეთესო მასწავლებლების გამოცდილებათა გაზიარება. პედაგოგიური კოლექტივის ყურადღება გაამახვილონ პედაგოგიური პროცესის კონკრეტული მომენტების მიმართ (გაკვეთილისათვის მომზადება, გაკვეთილის მსვლელობა, შინაარსობრივი და დიდაქტიკური მხარე, დისციპლინის დაცვა, ახალი მასალის შეთვისების შემოწმება, საშინაო დავალების ორგანიზაცია და სხვ.) პედაგოგიური საბჭოს დადგენილებანი უნდა შეიცავდნენ დროულ და კონკრეტულ წინადადებებს სასწავლო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

2. შშობელთა კომიტეტების მუშაობა იმგვარად მოეწყოს რომ უზრუნველყოფილი იქნეს მოსწავლეთა საშინაო დამოუკიდებელ მუშაობაზე კონტროლის გაძლიერება, რაც მოსწავლეთა ცოდნის მაღალ წარმატებასთან არის დაკავშირებული.

3. მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქცინონ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიური მომზადების ამაღლებას, სისტემატურად იმუშავონ სწავლების ხერხებისა და მეთოდების დაუფლებაზე, ზუსტად ჩაატარონ დავალებათა შესრულების შემოწმება, ყოველ გაკვეთილზე აწარმოონ მოსწავლეებზე დაკვირვება, სისტემატურად აღრიცხონ თითოეული მოსწავლის ცოდნა, ყურადღების ცენტრში მოაქცინონ ჩამორჩენილი და მეორეწლიანი მოსწავლეები და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება. თითოეული მასწავლებელი უნდა მუშაობდეს იმგვარად, რომ ყურადღებისა და აღრიცხვის გარეშე არ დარჩეს მოსწავლის თუნდაც უმნიშვნელო წინსვლა და წარმატება. გულთბილი, გულისხმიერი და მზრუნველი დამოკიდებულების გზით გამოიწვიონ და გააძლიერონ მოსწავლეებში ინტერესი და განწყობილება შემდგომი წარმატების მოსაპოვებლად.

4. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტმა დაამუშავოს დამხმარე მეთოდური ხასიათის შრომები დირექტორებისა, სასწავლო ნაწილის გამგეების და კლასის ხელმძღვანელის მუშაობის ორგანიზაციის და მეთოდების შესახებ.

5. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მოაწყოს რაიონულ მეთოდურ კაბინეტში და მეთოდგაერთიანებებში ახალგაზრდა დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეებისათვის სპეციალური თათბირები, სადაც უნდა იქნეს განხილული გაკვეთილის საუკეთესო ნიმუშები და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სწორი ხელმძღვანელობის აქტუალური საკითხები.

6. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მოაწყოს რესპუბლიკის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების მასალების მუდმივი გამოფენა.

7. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოებმა სკოლების ხელმძღვანელთათვის დახმარების გაწევის მიზნით დაამუშაოს მითითებანი გაკვეთილებზე მასწავლებლის მუშაობის დაკვირვების მეთოდების შესახებ.

8. საქ. სსრ განსახკომის კადრების სამმართველომ დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოებთან ერთად დაამუშაოს ერთი მასწავლებლის მიერ მეორისათვის კლასის ან საგნის გადაცემის (მასწავლებლის ავადმყოფობისას, დროებითი მუშაობისას ან დაწყებითი სკოლაში კლასის შეცვლისას) წესები და წარმოადგინოს დასამტკიცებლად.

9. განათლების განყოფილებათა გამგეებმა მტკიცედ დაიცვან დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეებისათვის პედაგოგიური დატვირთვის სავალდებულო ნორმები. განათლების განყოფილების მუშაკებმა აღკვეთონ ყოველგვარ შემთხვევით საკითხებზე სკოლის ხელმძღვანელთა ხშირი გამოძახება და განტვირთონ ისინი კანცელარული ხასიათის დავალებებიდან.

10. განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ინსპექტორებმა და სკოლის დირექტორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ და არ დაუშვან აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა თავიდან მოცილების მიზნით მოსწავლეთა სკოლიდან სკოლაში გადაყვანა და გარიცხვა.

11. გადაჭრით აღმოიფხვრას სასკოლო ინსპექტორების საკანცელარიო საქმეებით დატვირთვის დღემდე არსებული პრაქტიკა და მათი სკოლაში წარამარა მივლინება „შემოსულ განცხადებაში აღნიშნული ფაქტების“ შესამოწმებლად. სასკოლო მუშაობის შემოწმების საქმეში ინსპექტორის მუშაობას უნდა ქონდეს მტკიცე გეგმიანი ხასიათი. საკალდებულოდ იქნას ცნობილი ინსპექტორების მიერ „დღიურის“ წარმოება, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მაჩვენებელი დოკუმენტისა, „დღიურში“ ზუსტად იქნას აღრიცხული ჩატარებული მუშაობა. „დღიურს“ სისტემატურად ამოწმებდეს განათლების განყოფილების გამგე. ინსპექტორებმა სკოლის გამოკვლევის შედეგები გააცნოს პედკოლექტივს და

აწარმოონ ამ შედეგების ჩაწერა სკოლაში, ამისათვის სპეციალურად განკუთვნილ წიგნში.

12. განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოები, ავტონომიური სს რესპუბლიკებისა და ოლქების განსახკომები განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებათა გამგეები „სისტემატურად ამოწმებდნენ სასწავლო მუშაობის დაყენებას სკოლებში, ებრძოდნენ მასწავლებელთა ლიბერალურ დამოკიდებულებას მოსწავლეთა შეფასებისადმი“ (ლ. პ. ბერია).

განათლების განყოფილებებმა დააწესონ მტკიცე კონტროლი და პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომელიც შემჩნეული იქნებიან, როგორც მოსწავლეთა ცოდნის ყალბად შეფასებაში, აგრეთვე ისინიც, ვინც აიძულებს მასწავლებლებს,—დაადგნენ სახელმწიფო ორგანოების თვალისახვევის გზას.

13. განემარტოს განათლების განყოფილებათა გამგეებს, სკოლის დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგეებს და მასწავლებლებს, რომ—მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში პროცენტომანიისა და თვალისახვევის წინააღმდეგ ბრძოლა არ გამორიცხავს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ წარმატების მაჩვენებლებს, არამედ სწორედ მოსწავლეთათვის მაღალი მოთხოვნის წაყენება და მათი ცოდნის ნამდვილი ობიექტური შეფასება ქმნის პირობებს მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებისათვის ნამდვილი, მაღალი აკადემიური წარმატების მაჩვენებლების მისაღებად; მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებას და „მეცნიერებათა საფუძვლების“ მტკიცედ დაუფლებას შეიძლება მივაღწიოთ დაუღალავი პედაგოგიური მუშაობით, საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვით, სწავლების ხერხებისა და მეთოდების მიზანშეწონილად გამოყენებით, გაკვეთილისათვის საფუძვლიანად მომზადებისა და სწავლების პროცესის საუკეთესოდ მოწყობით, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესწავლით, მათდამი გულთბილი და გულისხმიერი დამოკიდებულების განხორციელებით, ჩამორჩენილებისადმი სისტემატური დახმარების გაწევის უზრუნველყოფით, მოსწავლეთა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაჯანსაღების საქმეში, კომკავშირის, პიონერთა ორგანიზაციების და მოსწავლეთა და მშობელთა კომიტეტების ჩაბმით და საერთოდ, მთელი პედაგოგიური პროცესიის სწორი ორგანიზაციით. ფართოდ უნდა იქნეს განმტკიცებული, რომ სხვა გზა, აკადემიური წარმატების მოსაპოებლად, არის გზა — თვალთმაქცობისა, თვალისახვევის, სახელმწიფოს მოტყუების, — „პროცენტომანიის“, რომლის სრული ლიკვიდაციისათვის უნდა დაირაზმოს მთელი პედაგოგიური საზოგადოებრიობა.

14. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და სარაიონო და საქალაქო განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) ფართოდ განიხილონ ეს წერილი მასწავლებელთა შორის.

საქ. განათლების სახალხო კომისარი
ბ. კიკნაძე

საშუალო სკოლის სამმართველოს
უფროსი შ. ბზიკაძე

დაწყებითი სკოლის სამმართველოს
უფროსი შ. ოგოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა რაიონის განათლების განყოფილებათა და საკლუბო დაწესებულებათა გამგეებს

ასლი—ავტ. სს რესპუბლიკების განსახკომებს და ავტ. ოლქის განათლების განყოფილებას

აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის ჩატარების შესახებ

ა/წ 22 ივნისს ეწყობა მე-19 საუკუნის დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე. ამ იუბილეს ქართველ ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით ეგებებიან საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის ხალხები.

აკაკი წერეთლის მხატვრული შემოქმედება წარმოადგენს ძვირფას კლასიკურ მემკვიდრეობას, რომლის დაფასება და შესწავლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ სტალინური მზით გასხივოსნებულ ეპოქაში.

მხოლოდ დღეს, საბჭოთა სინამდვილეში, ლენინ-სტალინის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის შედეგად მიეცათ საშუალება საბჭოთა ქვეყნის ხალხებს საფუძვლიანად შეისწავლონ და დაეუფლონ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ქართული ენის უდიდესი რეფორმატორი იყო. მან გაანთავისუფლა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა დრომოჭმული ფორმებისაგან და მიუახლოვა ის მასებს. აკაკი წერეთელი დაჩაგრული ხალხის მესაიდუმლე და მისი ნუგეშის მცემელი იყო. მან უდიდესი მხატვრული ოსტატობით ასახა ბატონყმური წყობისა და მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის მონობის უღელ ქვეშ მყოფ მშრომელთა მდგომარეობა და ხმა აღიმაღლა ამ რეჟიმის წინააღმდეგ. მან თავისი ლირიკული ლექსებით ჩაგრულ, დამონებულ ხალხში შეიტანა ხალხთა განთავისუფლებისა და ბრძოლის სული. ის იყო ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.

აკაკი წერეთლის საიუბილეო დღეები ქართული საბჭოთა სოციალისტური კულტურის აღორძინებისა და დიდი პოეტისადმი ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის მძლავრ დემონსტრაციას წარმოადგენს.

საკლუბო დაწესებულებებმა (კლუბებმა, კულტურის სახლებმა და ქოხ-სამკითხველოებმა) აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აკაკის იუბილეს ჩატარებაში, რისთვისაც უნდა განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. საკლუბო დაწესებულებებთან უნდა ჩამოყალიბდეს ა. წერეთლის საიუბილეო კომისია, რომელშიაც შევლენ კლუბის აქტივისტები ადგილობრივი ინტელიგენციიდან, კოლმეურნეობებიდან და სხვ.

კომისიამ უნდა შეადგინოს იუბილეს ჩატარების გეგმა და დაამუშაოს იგი ფართო აქტივის კრებაზე.

2. იუბილესათვის წინასწარი სამზადისი უნდა გამოყენებულ იქნას ა. წერეთლის შემოქმედების ფართო მასებისათვის გასაცნო-

ბად. ამიტომ საჭიროა შეიქმნას აკაკის შემოქმედების შემსწავლელი წრეები, ჩატარდეს აკაკის რჩეულ ნაწარმოებთა ხმამაღალი კითხვა, მოეწყოს აკაკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი მხატვრულ-ლიტერატურული საღამოები და სხვ.

3. მოეწყოს ციკლობრივი და ეპიზოდური ლექციები, აგრეთვე მოხსენებები და საუბრები აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რაც უნდა დაუკავშირდეს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, რომელშიაც პოეტს უხდებოდა მოღვაწეობა.

4. საკლუბო დაწესებულებებში უნდა მოეწყოს აკაკი წერეთლის კუთხე, სადაც გამოფენილი იქნება შესაფერისი ლიტერატურა, აგრეთვე თვალსაჩინო ადგილებზე გაიკრას ლოზუნგ-პლაკატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ადგილობრივ კედლის გაზეთებში უნდა გამოიყოს სპეციალური განყოფილება: „როგორ მიმდინარეობს აკაკის იუბილესათვის მზადება“. იუბილეს დღეს კედლის გაზეთი მთლიანად უნდა მიეძღვნას აკაკის შემოქმედებას.

საქ. განათლების სახალხო კომისარი
გ. კიკნაძე

განსახკომის საკლუბო სამმართველოს
უფროსი **ა. გაბისონია**

1940 წლ. 9 აპრილი
თბილისი

„ბამტკიცებულ“
საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი
17/II 40 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითი დებულება

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ზოგადი დებულებანი.

1. პიონერთა და მოსწავლეთა სახლი წარმოადგენს ისეთ დაწესებულებას, რომელიც ბავშვთა შორის სკოლის გარეშე მუშაობით ანხორციელებს მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის ამოცანებს, და ამით ეხმარება სკოლას სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და პიონერთა და მოსწავლეთა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ დაყენების საქმეში.

2. პიონერთა და მოსწავლეთა სახლი თავის ამოცანებს ანხორციელებს:

ა) ბავშვებში მეცნიერებისა, ტექნიკისა და ხელოვნებისადმი სიყვარულის და ინტერესის გაღვივებით და ამ ინტერესების დაკმაყოფილების გზით;

ბ) ბავშვთა კულტურული დასვენებისა და გართობის ორგანიზაციის გზით და

გ) დახმარების გაწევით პიონერთა რაზმებისა და ოქტომბრელებისათვის კულტურულ-მასობრივი და საწრეო მუშაობის ორგანიზაციის საქმეში.

3. პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მუშაობა აგებულია პიონერებისა და მოსწავლეების ნებაყოფლობით სურვილისა და სახლის მუშაობის ამათუიმ დარგით დაინტერესებაზე.

4. პიონერთა და მოსწავლეთა სახლი თავის მუშაობას ატარებს წლიური გეგმისა და წრეების პროგრამების მიხედვით, რომლებსაც სსრ. სსრ სახალხო განათლების კომისარიატი ამტკიცებს.

5. პიონერთა და მოსწავლეთა სახლში მუშაობა მიმდინარეობს შემდეგ ფორმებში:

ა) მასობრივი გამოსვლებისა, მასობრივი ღონისძიებათა (სპარტაკიადის, ცეკვის, თამაშის, სიმღერის, ბავშვთა გასეირნების, დღესასწაულის, საღამოების შეხვედრებისა) მოწყობა.

ბ) სისტემატური მუშაობის ჩატარება პიონერებთან და მოსწავლეებთან სწავლების აკადემიური მაჩვენებლების ამაღლების მიზნით;

გ) პიონერ რაზმებისათვის დახმარების აღმოჩენა მუშაობაში: მუშაობა აქტივთან, წრეების სტაროსტებთან, გუნდების კაპიტნებთან, ფორპოსტის ხელმძღვანელებთან, რგოლების მეთაურებთან და საერთოდ ბავშვებთან, მათთვის სახლის საუკეთესო მუშაობის ნიმუშების ჩვენებით.

6. პიონერთა და მოსწავლეთა სახლზე უშუალოდ ხელმძღვანელობას ანხორციელებს სახალხო განათლების საქალაქო (რაიონული) განყოფილება და კომკავშირის საქალაქო (რაიონული) კომიტეტი.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია

7. დაკისრებული ამოცანების განხორციელების მიზნით პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მუშაობა ეწყობა შემდეგ ძირითად განყოფილებებში.

1) მასობრივ პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილება.

ა) ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ოთახი;

ბ) პიონერ-აქტივის ოთახი;

გ) ბიბლიოთეკა სამკითხველო.

2) მხატვრული აღზრდის განყოფილება.

ა) მხატვრული კითხვისა და ლიტერატურის წრე;

ბ). დრამატიული წრე;

გ) სასულე ოკრესტრის წრე;

დ) მომღერალთა გუნდი;

ე) მოცეკვავეთა წრე.

3) დასვენებისა და გართობის განყოფილება.

ა) სათამაშო ოთახი;

ბ) კინოდარბაზი.

4) მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლების განყოფილება.

ა) ნორჩნატურალისტთა წრე;

ბ) რადიო;

გ) ფოტო-ლაბორატორია.

5) სამხედრო-ფიზკულტურული განყოფილება.

ა) ფიზკულტურის წრე;

ბ) საჰაერო ქიმიური თავდაცვითი წრე;

გ) ნორჩ მსროლელთა წრე.

ზემოაღნიშნული წრეები მუშაობას ატარებენ სათანადო პროგრამების მიხედვით.

8. პიონერთა და მოსწავლეთა სახლში პიონერები და მოსწავლეები ცხადდებიან კალენდარული დღეებისა და საათების მიხედვით.

9. პიონერთა და მოსწავლეთა სახლი ემსახურება არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პიონერებსა და მოსწავლეებს.

10. პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მომქმედ წრეებში აირჩევიან წრეების სტაროსტები და ფიზკულტურის გუნდებისათვის კაპიტნები. მათ ფუნქციებს შეადგენს დაეხმარონ წრის ხელმძღვანელს წრის მუშაობის აღრიცხვაში, მორიგეობისა და შეგნებული დისციპლინის დანერგვაში.

11. პიონერთა და მოსწავლეთა პედაგოგიური ალმზრდელობითი მუშაობა ეწყობა პიონერთა და მოსწავლეების აქტივობისა და ფართო თვითმოქმედების საფუძველზე. ეს მუშაობა მიმართულია ბავშვთა გონიერ დასვენებისა და გართობისაკენ და სხვადასხვა წრეებში ბავშვთა შემოქმედებითი მუშაობის მაღალი მაჩვენებლების მიღწევისაკენ.

12. ბავშვთა შორის ჩატარებული მუშაობის გამოცდილების შესწავლისა და განზოგადოების საფუძველზე პიონერთა და მოსწავლეთა სახლში ტარდება მასობრივი საკონსულტაციო და მეთოდური ხასიათის მუშაობა პიონერრაზმების ხელმძღვანელების, პედაგოგებისა და მშობელთათვის სკოლის გარეშე მუშაობის სხვადასხვა საკითხებზე.

აღნიშნულ მუშაობას სახლი ატარებს:

ა) მეთოდური კონსულტაციის ფორმით სკოლის გარეშე მუშაობის საკითხებზე სკოლაში, კლუბებში და პიონერთა ოთახებში მისვლით;

ბ) კულტურულ-მასობრივი მუშაობის მოწყობის შესახებ ლექციების, მოხსენებების და საუბრების ჩატარებით სკოლებში, პიონერთა კლუბებში, ფორპოსტებში, პიონერთა ოთახებში ქალაქად და სოფლად;

გ) სახლის მუშაობის გამოცდილების განზოგადოების მიზნით დარგობრივი ხასიათის პერიოდული გამოფენების მოწყობით სახლში, სკოლებში და პიონერთა ოთახებში;

დ) პერიოდულად კედლის გაზეთის გამოშვებისა და მასში თავისი მუშაობის გამოცდილების აღწერა-გაშუქებით.

III. პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მმართველი ორგანო

13. სახლის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს სამუშაოდან საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი. სახლის დირექტორად დაინიშნება ბავშვთა შორის მუშაობის არა ნაკლებ 3—4 წლის სტაჟის მქონე პირი, რომელსაც უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება.

14. დირექტორს ყავს ორი მოადგილე, ერთი პედაგოგიურსა, მეორე კი მასობრივ მუშაობის დარგში, დირექტორის მოადგილეებს და განყოფილებათა გამგეებს ნიშნავს და ათავისუფლებს სამუშაოდან საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი სახლის დირექტორის წარდგენით, ხოლო დანარჩენ მუშაკთ ნიშნავს და ათავისუფლებს სახლის დირექტორი.

15. სახლის დირექტორი განაგებს და წარმართავს სახლის მუშაობას ამ დებულების და მომქმედ კანონების საფუძველზე და იმ დირექტივების, ინსტრუქციებისა და ბრძანებების მიხედვით, რაც გამოცემული იქნება საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ბავშვთა შორის მუშაობის საკითხებზე.

16. პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორს აქვს შემდეგი უფლებები:

ა) სახლის კრედიტების განკარგულებისა დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;

ბ) ანგარიშის გახსნისა სსრ კავშირის სახბანკის ადგილობრივ განყოფილებაში;

გ) დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ხელშეკრულებებისა და შრომითი შეთანხმებათა დადებისა, იმ ამოცანების განსახორციელებლად, რაც პიონერთა და მოსწავლეთა სახლს ეკისრება;

დ) სახლის სახელით წარმომადგენლობის, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადობრივი და კოოპერატიული ორგანიზაციების წინაშე.

17. სახლის დირექტორი მოვალეა წარუდგინოს საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატს წლიური და კვარტალური ანგარიშები და მომავალი წლისათვის მუშაობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

18. პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან ეწყობა სახლის საბჭო, დირექტორის (თავმჯდომარე), დირექტორის მოადგილის (მდივანი) ნაწილში), განყოფილების გამგეებისა, წრეების ხელმძღვანელების და მშობელთა წარმომადგენლის შემადგენლობით. საბჭო იხილავს პროგრამულ-მეთოდურ საკითხებს ბავშვთა შორის სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

IV. პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სახსარი

19. პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სახსარი შესდგება:

ა) იმ თანხებიდან, რომელიც ასიგნებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტით და

ბ) იმ თანხებიდან, რომელიც ასიგნებული იქნება სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციების მიერ ბავშვთა შორის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲚᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ.

ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ.

1. იმ მიზნით, რომ საბავშვო ბაღს დახმარება ჰქონდეს ბავშვების მშობელთა მხრივ ყველა იმ ღონისძიებების გატარებაში, რომლებიც მიმართულია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კომუნისტურად აღზრდისაკენ, საბავშვო ბაღთან ეწყობა მშობელთა კომიტეტი.

მშობელთა კომიტეტს შემდეგი ამოცანები ეკისრება:

ა) დახმარება გაუწიოს საბ. ბაღს შემდეგ ღონისძიებათა გატარებაში: პროდუქტების შეძენა, მშობლებისაგან კვების ფულის აკრეფა, კვების ხარისხის გაუმჯობესება, გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაცია სათანადო მოწყობილობათა—დიდაქტიკური მასალების და სათამაშოების შეძენა, სათბობი მასალებით მომარაგება და სხვა.

ბ) უზრუნველჰყოს მშობელთა სისტემატური კავშირი საბავშვო ბაღთან და მასთან ერთად იზრუნოს ერთიანი ხაზის დასამყარებლად საბ.ბაღსა და ოჯახში, სკოლამდელი ასაკის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

გ) გაეცნოს ჯგუფების მუშაობას და მათ მეცადინეობაზე დაასწროს განსაკუთრებით ის მშობლები, რომლებიც მეტად საჭიროებენ ბავშვთა აღზრდის საკითხებში გარკვევას;

დ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს და დახმარება გაუწიოს საბ. ბაღს დღესასწაუ-

ლების ჩატარებაში: ბინის მორთვა, კოსტუმების შეკერვა, სათამაშოებისა და საჩუქრების დამზადება და სხვ.

ე) ჩაატაროს საბ. ბალთან ერთად მშობლებს შორის პედაგოგიური პროპაგანდა აღმზრდელობით საკითხებზე პოპულარული ლექციების, გამოფენების, საუბრების, კონსულტაციების, გამოცდილებათა გაზიარების, საღამოების და სხვ. მოწყობით.

2. დახმარება გაუწიოს საბ. ბალს მშობლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კამპანიებში აქტიურად ჩაბმაში, მოაწყოს ექსკურსიები სხვადასხვა ისტორიული მნიშვნელობის ადგილებზე და სხვა.

3. მშობელთა კომიტეტი თავის მიმდინარე მუშაობაში ხელმძღვანელობს საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის და განათლების განყოფილების განკარგულებებით, ბრძანებებით, ცირკულარებით და ინსტრუქციებით და საბ. ბალის გამგის მითითებებით.

4. მშობელთა კომიტეტის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით რაიონის განათლების განყოფილება და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის მეთოდკაბინეტები სისტემატურად ატარებენ მშობელთა კომიტეტის წევრთათვის ლექციებსა და მოხსენებებს ბავშვთა აღზრდის საკითხების ირგვლივ, აწყობენ გამოცდილების გაზიარების საღამოებს და სხვა.

მშობელთა კომიტეტისა და მის წევრთა მუშაობის ხასიათი

5. მშობელთა კომიტეტი ირჩევა საბ ბალის მშობელთა საერთო კრებაზე ერთი ან ორი წარმომადგენლის არჩევით თითოეული ჯგუფიდან, ხმის უბრალო უმეტესობით.

6. მშობელთა კომიტეტი ირჩევა ერთი სამუშაო წლის ვადით, არჩევნები ტარდება საბავშვო ბაღებში სამუშაო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. ყოველდღიური ოპერატიული მუშაობის ხელმძღვანელობისა და წარმოებისათვის მშობელთა კომიტეტი თავის რიგებიდან გამოჰყოფს თავმჯდომარესა და მდივანს.

7. საბ. ბალის გამგის წლიური და ყოველთვიური გეგმების საფუძველზე სდგება მშობელთა კომიტეტის სამუშაოს გეგმაც, რომელსაც ამტკიცებს საბავშვო ბალის გამგე.

8. მშობელთა კომიტეტის და მშობელთა საერთო კრების დადგენილებანი, რომლებიც შეიცავენ საბ. ბალის მუშაობის კონკრეტულ ღონისძიებებს მტკიცდება საბ. ბალის გამგის მიერ.

9. მშობელთა კომიტეტს საბ. ბალის გამგესთან შეთანხმებით შეუძლია ჩამოაყალიბოს ცალკეული საკითხების მოსაგვარებლად დროებითი კომისიები—მაგ. დღესასწაულის ჩატარებისათვის, ბავშვების საგარაკოდ გაყვანისათვის და სხვ.

10. მშობელთა კომიტეტს მუდმივი კავშირი აქვს რაიონის საბჭოს კულტ სექციასთან და იგი თავის მეშვეობით ატარებს საბ. ბალისათვის საჭირო ღონისძიებებს (ბინის შეკეთება, გათბობა და სხვ.).

11. მშობელთა კომიტეტი მონაწილეობას იღებს საბავშვო ბალების პედაგოგიურ და საწარმოო თათბირებზე.

12. მშობელთა კომიტეტი მშობელთა საერთო კრებას უდგენს ანგარიშს თავის მუშაობის შესახებ წელიწადში ორჯერ.

13. მშობელთა კომიტეტი პერიოდულად ისმენს თავის წევრების მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიშს.

14. იმ შემთხვევაში, თუ მშობელთა კომიტეტის ცალკეული წევრები აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ კომიტეტის მუშაობაში, ისინი შეცვლილ უნდა იქნენ სხვა, აქტიური მშობლებით.

15. მშობელთა კომიტეტის წევრებს უნდა ჰქონდეთ თავისი სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვით ისინი მუშაობას აწარმოებენ.

16. მშობელთა კომიტეტის წევრები თავის მუშაობას უკავშირებენ ჯგუფების აღმზრდელებს და იზიდავენ თავის მუშაობაში ყველა მშობელს.

17. მშობელთა კომიტეტის წევრების დასწრება ჯგუფების მეცადინეობაზე შეიძლება მხოლოდ საბ. ბაღის გამგის ნებართვით.

18. მშობელთა კომიტეტის წევრები საბ. ბაღის გამგის დავალებით ეცნობიან აგრეთვე ოჯახებში ბავშვების აღზრდის პირობებს და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან საბავშვო ბაღს აღნიშნული სამუშაოების გაუმჯობესებაში.

19. მშობელთა კომიტეტს აქვს მშობელთა კომიტეტისა და მშობელთა საერთო კრებების მოწვევის ოქმები.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი
ბ. კიკნაძე

სკოლამდელთა აღზრდის სამმ. უფროსი
პ. რატიანი

პ/მგ. რედაქტორი ბ. კიზირია — პ/მგ. მდივანი ს. ცაიშვილი

გადაეცა წარმოებას 23/IV 40 წ. — ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/V 1940 წ.
მთავლიტის რწმუნებულის № —2363 — შეკვეთის № 1217 — ტირაჟი - 5.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუსთაველის პრ. № 36.